

უფალო ღმერთო, მეუფეო ყოვლისა სოფლისა, ხილულისა და უხილავისაო! შენსა წმიდასა ნებასა ზედა დამოკიდებულ არიან ყოველნი დღენი და წელნი ცხორებისა ჩემისანი. გმადლობ შენ, ყოვლადმოწყალო მამაო, რამეთუ ჯერ-იჩინე ჩემთვის განგრძობად ცხორებისა ჩემისად კუალად წელიწად ერთ. რამეთუ ცოდვათათვის ჩემთა არა ღირს ვარ ესევეითარსა წყალობასა, არამედ შენ ხარ, რომელი გამოაჩინებ ამას ჩემ ზედა გამოუთქმელითა კაცთმოყვარებითა შენითა. განმიგრძნე მოწყალებანი შენნი მე, ცოდვილსა, განმიგრძნე ცხორებად ჩემი სათნოებათა შინა, სიყუარულსა, სიმრთელესა, სიმშვიდესა შინა ერთხმოვითა და ერთსულობითა ყოველთა თანა ნათესავთა ჩემთა და ყოველთა მოყუასთა. მომიბოძე მე უხუებად ქვეყნიერთა ნაყოფთაჲ და ყოველი, რადცა კეთილად სახმარ არს ჩემთვის. უფროდსად განწმიდე სვინიდისი ჩემი და განმამტკიცე მე გზასა ზედა ცხოვნებისასა, რადთა მეცა, დადგრომილი მას ზედა, შემდგომად მრავალჟამიერისა ცხორებისა ჩემისა გარდავიცვალო საუკუნოდ ცხორებად და ღირს ვიქმნე დამკვიდრებასა ზეციერისა შენისა სასუფეველისასა. შენ, უფალო, აკურთხე დასაბამი წელიწადისა ამის ჩემისაჲ და ყოველნი დღენი ცხორებისა ჩემისანი. ამინ.

www.mrevli.ge